ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მოთხოვნათა დაცვით.

კანონპროექტის მიღება ამ ეტაპზე იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში, მოხდება მთავრობის დადგენილებით გასაზღვრული რანგირების მიხედვით ხელფასების ცვლილება და შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება.

ამ დადგენილების პროექტის მიღება იწვევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილების „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადებას.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

პროექტის ავტორი და სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**2015 წლის ----------**

**დ. ჩოხატაური**

**„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. 4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე**

პროექტი

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება ----------

## 2015 წლის ----------

## დ. ჩოხატაური

**„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 23-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები დანართი 1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი 2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილება „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზაალ მამამლაძე**

*დანართი 1*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგო

| N | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| **1** | საკრებულოს თავმჯდომარე | 2 650 |
| **2** | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1 900 |
| **3** | კომისიის თავმჯდომარე | 1 500 |
| **4** | ფრაქციის თავმჯდომარე | 1 500 |

*დანართი 2*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

| N | თანამდებობის დასახელება | თანამდებობრივი რანგი | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 2 | აპარატის უფროსი | წამყვანი საჯარო თანამდებობა | 1350 |
| 3 | განყოფილების უფროსი | უფროსი საჯარო თანამდებობა | 950 |
| 4 | საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე | უფროსი საჯარო თანამდებობა | 900 |
| 6 | მთავარი სპეციალისტი | უფროსი საჯარო თანამდებობა | 750 |
| 7 | წამყვანი სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 650 |
| 8 | უფროსი სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 620 |
| 9 | სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 600 |

დასკვნა

**„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“**

**დადგენილების თაობაზე**

დადგენილების პროექტის შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება ადგილობრივი თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრა.

ასევე შსაბამისობასია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

აღნიშნული პროექტი სრულად შეესაბამება მითითებულ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე